ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N5

ქ.თბილისი 5 დეკემბერი, 2017 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
რამინა ბერაძე
გიორგი გაბაშვილი
გულია გოცირიძე
ლევან დავითაშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
ირაკლი ზარქუა
ფრიდონ ინჯია
ერეკლე კუხიანიძე
ნინო ლაცაბიძე
ქეთევან მამულაშვილი
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
დათო რურუა
თამარ ტალიაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ვლადიმერ ძნელაძე
ლევან ჯაფარიძე
ჯაბა ჯიშკარიანი
ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე
თემურ გორგაძე
ოთარ გრიგოლია
ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე
თევდორე ისაკაძე
ანა ლაშხი
გიორგი მუსხელიშვილი
თინათინ ნიბლოშვილი
ელენე ოზაშვილი
დათო ჟღენტი
რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ილია ჯიშკარიანი
ქეთევან ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ წარმომადგენელი ნესტან ადვაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან სამძიმარი გამოუცხადა N51 საჯარო სკოლის გარდაცვლილი მოსწავლეების ოჯახებს, ღრმა მწუხარება გამოთქვა მომხდარის გამო და მიმართა საკრებულოს წევრებს, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ მათი ხსოვნისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე

თანამომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

5. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლების IV მიკრორაიონში კორპუსი N11-ში (საკადასტრო კოდი: 01.18.13.037.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

6. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლების მე-3 მიკრორაიონის კორპუსი N28-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქ.თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი N76-ში მდებარე 189003 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 651 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის საკადასტრო კოდი: N01.14.10.002.049) ფიზიკური პირისთვის - გივი გორდაძისთვის (პირადი ნომერი: 01010003118) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ 2011 წლის 12 იანვრის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს N01-4/8 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის და მისი დანართის ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის საგენტოს 2012 წლის 5 მარტის N01-4/18 ბრძანებაზე თანდართული „საიჯარო პირობების“ საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ფიზიკური პირის - გივი გორდაძის (პ/ნ: 01010003118) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქ.თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზ. N10-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.14.11.10.010) მდებარე 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ფიზიკურ პირებისთვის გულნარა მაღრაძისთვის (პირადი ნომერი: 01008012536), ლელა სიამაშვილისთვის (პირადი ნომერი: 01008020508) და ირინე სიამაშვილისთვის (პირადი ნომერი: 01018000241) პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 05 მაისის N01-4/164 ბრძანებაზე თანდართული „აღნაგობის პირობების“ საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ფიზიკურ პირების: გულნარა მაღრაძის (პ/ნ.: 01008012536), ლელა სიამაშვილის (პ/ნ.: 01008020508) და ირინე სიამაშვილის (პ/ნ.: 01018000241) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „2009 წლის 20 თებერვლის „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N632/1) ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის III მასივის მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის (I ეტაპი) პროექტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ნესტან ადვაძე

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის N3-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ლევან ჟორჟოლიანის არჩევის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N202 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

მომხრე - 41

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა მცირდება დაახლოებით 7000000 ლარით, რაც ძირითადად, გამოწვეულია იმით, რომ მიმდინარე წელს ვერ ხორციელდება მთაწმინდის პარკთან დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობის პროექტი, რომლისთვისაც ასიგნებები გათვალისწინებულია 2018 წლის ბიუჯეტში. ასევე, ძირითადად სატენდერო ეკონომიებიდან მოძიებული რესურსი, რომელიც შეადგენს 13000000 ლარს, გადანაწილებულია სხვადასხვა პროგრამებზე და ქვეპროგრამებზე. ირაკლი ხმალაძემ დეტალურად, ციფრების მითითებით ისაუბრა თუ რა მიმართულებით და დანიშნულებით ხდება აღნიშნული თანხის განაწილება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები ხორციელდება გარკვეული ეკონომიების და ჩაშლილი ტენდერების საფუძველზე მოძიებული ფინანსური რესურსით და მნიშვნელოვანია, რომ ამ თანხის ნაწილი დამატებულია სოციალური და ინფრასტრუქტურული მიმართულებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, წარმოდგენილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების: არქიტექტურის სამსახურის, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს და ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის საკითხები და თანმიმდევრულად წარადგინა სხდომაზე.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 41

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლების IV მიკრორაიონში კორპუსი N11-ში (საკადასტრო კოდი: 01.18.13.037.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია იმ მოქალაქეების ფართებით დაკმაყოფილება, რომლებიც უკვე თერთმეტ წელზე მეტია ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე მდებარე შენობაში. მან აქვე აღნიშნა, რომ სულ 32 მოქალაქეს, საერთო ჯამში, გადაეცემა დაახლოებით 2200 კვ.მ. ფართი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძის აღნიშნა, რომ დაწყებული პროცესი - იმ მოქალაქეებისთვის ქონების დაკანონება, რომლებიც წლების მანძილზე ფლობენ ამა თუ იმ ფართს, მისასალმებელი და მნიშვნელოვანია. მან იმედი გამოთქვა, რომ საკრებულო ყველა სხდომაზე განიხილავს მსგავსი შინაარსის პროექტს და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლების მე-3 მიკრორაიონის კორპუსი N28-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ერთი, მრავალშვილიანი, ოჯახისთვის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქ.თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი N76-ში მდებარე 189003 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 651 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის საკადასტრო კოდი: N01.14.10.002.049) ფიზიკური პირისთვის - გივი გორდაძისთვის (პირადი ნომერი: 01010003118) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ 2011 წლის 12 იანვრის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს N01-4/8 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის და მისი დანართის ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის საგენტოს 2012 წლის 5 მარტის N01-4/18 ბრძანებაზე თანდართული „საიჯარო პირობების“ საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ფიზიკური პირის - გივი გორდაძის (პ/ნ: 01010003118) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ აღნიშნული მოქალაქე, იჯარის სახით იხდის 4223 ლარს, თუმცა ერთ-ერთი გადახდის დროს, მას დააკლდა 1.04 ლარი, რამაც გამოიწვია პირგასამტეხლოს დარიცხვა დღეში 8.46 ლარის ოდენობით, რამაც ჯამში, 136 დღეში, შეადგინა 1150.88 ლარი. იქიდან გამომდინარე, რომ მოქალქის ინფორმირება არსებულ დავალიანებასთან და დარიცხულ პირგასამტეხლოსგან დაკავშირებით მოხდა დაგვიანებით, იგი ითხოვს დარიცხული პირგასამტეხლოს ჩამოწერას. ირაკლი თავართქილაძის თქმით, აღნიშნული არის ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და სწორედ ამის გათვალისწინებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული მოქალაქის გათავისუფლება პირგასამტეხლოს გადახდისგან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ ეს არის გამონაკლისი შემთხვევა, რადგან აღნიშნულ დავალიანებასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მხრიდანაც არსებობდა გარკვეული კითხვები. ხოლო, ზოგადად, ყველა მოქალაქე ვალდებულია აკონტროლოს და შეასრულეს ბიუჯეტის მიმართ არსებული ვალდებულებები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქ.თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზ. N10-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.14.11.10.010) მდებარე 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ფიზიკურ პირებისთვის გულნარა მაღრაძისთვის (პირადი ნომერი: 01008012536), ლელა სიამაშვილისთვის (პირადი ნომერი: 01008020508) და ირინე სიამაშვილისთვის (პირადი ნომერი: 01018000241) პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 05 მაისის N01-4/164 ბრძანებაზე თანდართული „აღნაგობის პირობების“ საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ფიზიკურ პირების: გულნარა მაღრაძის (პ/ნ.: 01008012536), ლელა სიამაშვილის (პ/ნ.: 01008020508) და ირინე სიამაშვილის (პ/ნ.: 01018000241) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია წინა საკითხის მსგავსი შინაარსის პროექტი, თუმცა ამჯერად საუბარია სამ მოქალაქეზე, რომლების მიერ იჯარით აღებული ქონების ქირა შეადგენს 34 ლარს და ერთ-ერთი გადახდის დროს, მათ დააკლდათ 2 ლარი, რამაც გამოიწვია 181 ლარის ოდენობის პირგასამტეხლოს დარიცხვა, 181 დღის განმავლობაში. იქიდან გამომდინარე, რომ მოქალქეების ინფორმირება არსებულ დავალიანებასთან და დარიცხულ პირგასამტეხლოსთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაშიც, მოხდა დაგვიანებით, ისინი ითხოვენ დარიცხული პირგასამტეხლოს გაუქმებას. ირაკლი თავართქილაძის თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ 181 დღის განმავლობაში ვერ მოხერხდა აღნიშნული მოქალაქეების ინფორმირება, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი გათავისუფლება პირგასამტეხლოს გადახდისგან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ 2009 წელს, პრეზიდენტის განკარგულებით, ერთ ლარად, სახელმწიფოს ქონება გადაეცა კერძო სუბიექტს და ეს „მანკიერი პრაქტიკა“, წლების განმავლობაში, ახასიათებდა იმდროინდელ ხელისუფლებას. მისი თქმით, საკრებულომ მხარი უნდა დაუჭიროს აღნიშნული ქონების უკან დაბრუნებას, რათა ის გამოყენებული იქნას მიზანმიმართულად.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

9. „2009 წლის 20 თებერვლის „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N632/1) ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ 2009 წელს შპს-ს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრების უფლებით, მოვლა-პატრონობის ვალდებულებით, გადაეცა რიგი ქონება, მათ შორის არის ელექტრომოწყობილობები, რომლებიც განთავსებულია მის ტერიტორიაზე. შპს-მ წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის თანახმად, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ერთ-ერთი დიზელ-გენერატორი ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელ ელექტრომომარაგებას საჭირო მოცულობით. აქედან გამომდინარე, შპს-მ „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ მოითხოვა აღნიშნული ქონების უკან დაბრუნება და ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია დაიბრუნოს აღნიშნული ქონება და შემდგომში განკარგოს საკუთარი შეხედულებისამებრ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის III მასივის მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის (I ეტაპი) პროექტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ წარმომადგენელმა ნესტან ადვაძემ და განმარტა, რომ დაგეგმილია საცხოვრებელი კომპლექსის განვითარება, ვარკეთილის III მასივის ამორტიზებული განაშენიანების ადგილმონაცვლეობით და დამატებითი საცხოვრებელი ფონდის შექმნის მიზნით, შესაბამისი სოციალური ინფრასტრუქტურით და საბავშვო ბაღით. საპროექტო ტერიტორიის სამშენებლო განვითარება იგეგმება ორ ეტაპად, დღეს წარმოდგენილია პირველი ეტაპი, რომელიც მოიცავს თვითმმართველის საკუთრებაში არსებული 30205 კვ.მ. გაუნაშენიანებელი ტერიტორიის განვითარება. საპროექტო ტერიტორაზე დღეს მოქმედი ფუნქციური ზონის სტატუსი არ ითვალისწინებს საცხოვრებელ განაშენიანებას და ამიტომ, დაგეგმილია ზონის სტატუსის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ის სტატუსით, რის შემდეგაც მოხდება კოეფიციენტის გადაჭარბება 20%-ანი მატების ფარგლებში. პროექტი ითვალისწინებს ხუთი მრავალბინიანი კორპუსის მშენებლობას, შესაბამისი რაოდენობის ავტოსადგომებით, შიდა სივრცეში რეკრეაციული ზონის განვითარებას და საბავშვო ბაღის მშენებლობას 400 ბავშვზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი დამუშავებულია არქიტექტურის სამსახურის მიერ და დაკავშირებულია ავარიული სახლების საკითხის მოგვარებასთან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე რევაზ სოხაძის განცხადებით, მნიშვნელოვანია ის, რომ ქალაქში დაიწყო ავარიული სახლების და უსახლკაროთა პრობლემის მოგვარებისთვის პირველი ნაბიჯების გადადგმა და აღნიშნა, რომ კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილი პროექტის დადებითად გადაწყვეტას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ ქ.თბილისის მუნციპალიტეტში არსებული რეალობისა და გამოწვევების გათვალისწინებით, ასევე დედაქალაქის მართვის პოლიტიკის ოპტიმიზაციის მიზნით, მოზანშეწონილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება. კერძოდ, ადამიანის უფლებათა

დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის იურიდიულ საკითხთა კომისიასთან გაერთიანება, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის კომპეტენციის სფეროდან ტრანსპორტის საკითხების გამოყოფა და სატრანსპორტო სფეროში შემავალ საკითხებზე უფრო ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად, სატრანსპორტო საკითხთა კომისიის ჩამოყალიბება. წარმოდგენილი პროექტით, მაჟორიტარული სისტემით არჩეული საკრებულოს წევრის წარმომადგენლობის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების უფრო სრულყოფილად დარეგულირების მიზნით, საკრებულოს რეგლამენტს ემატება ერთი თავი, რომელიც კონკრეტულად განსაზღვავს საკრებულოს მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლობის მიზნებს, ფუქნქციებს, შემადგენლობას და ფინანსურ საკითხებს. ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ ასევე, საჭიროა რამდენიმე ტექნიკური ხასიათის ცვლილების განხორციელება, რომლებიც გამოწვეულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლის მიხედვითაც ტერმინის „ქმედუუნარო“ ნაცვლად შემოღებულია ტერმინი „მხარდაჭერის მიმღები“ და ასევე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით, რომლის თანახმად ტერმინი „შტატგარეშე მოსამსახურე“ ჩაანაცვლა ტერმინმა „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი“. ლევან ჟორჟოლიანმა აქვე განმარტა, რომ საკრებულოს რეგლამენტში განსახორციელებელი ცვლილებები გამოიწვევს საკრებულოს რამდენიმე დადგენილებაში და განკარგულებაში ცვლილების განხორციელებას და ისაუბრა თითოეულ მათგანზე: საჭირო გახდა იურიდიულ საკითხთა კომისიისთვის სახელწოდების შეცვლა, მისი დებულების ჩამოყალიბება და კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ლევან ჟორჟოლიანის არჩევის შესახებ საკრებულოს განკარგულებაში ცვლილების განხორციელება; სატრანსპორტო საკითხთა კომისიის დებულების შემუშავება და კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევა; ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის დებულებაში ცვლილების განხორციელება; საკრებულოს კომისიების პერსონალურ შემადგენლობაში და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხაში ცვლილებების განხორციელება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის N3-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ლევან ჟორჟოლიანის არჩევის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრების მიერ წარდგენილია თევდორე ისაკაძის კანდიდატურა (წარდგინება ოქმს თან ერთვის).

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის ყველა წევრი გადადის სატრანსპორტო კომისიის შემადგენლობაში, ქეთევან ჯოხაძე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიიდან გადადის ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიაში, ხოლო ქეთევან მამულაშვილი ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიიდან გადადის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში. გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N202 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის საშტატო ერთეულების გარდაქმნა სატრანსპორტო საკითხთა კომისიის საშტატო ერთეულებად. ასევე, იქიდან გამომდინარე, რომ ღია წესით ჩასატერებელია კონკურსი, შემოთავაზებულია რამდენიმე ცვლილება, მათ შორის, საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის და საორგანოზაციო განყოფილებებში მესამე რანგის მეორე კატეგორიის თითო-თითო საშტატო ერთეულის დამატება. გიორგი ტყემალაძემ, დამატებით განსახორციელებელი ცვლილებების გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 5 დადგენილება და 13 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი